

# ცისპარი

1874

ნოემბერი

წელიწადი მეტეორამეტე

წოდება თხუთმეტობათა:

- I.—რინის გრაფი (მოთხრობა) ი. კერესელიძისა.
- II.—განა უნდა მოკვდე (ლექსი) მისივე.
- III.—სამხარეულო წიგნის განხილვა. ჭაიდა გეთელისა.
- IV.—ნეკროლოგი.

თფილისი  
ექვთიმე სელაძის სტამბაში  
1874

# რკინის გრაფი

## XXX.

როზა და გუგუჩიძე.

— უმადურო მხეცო, უფეროდა დედაკაცი ლენა, განსწლებული, როზასა! დამაცადე მე შენ შეგატეობინებ! იქნება გგონია მუქთად ზური გაჭამო?

— მომეცით ხელსაქმე, მანუმაგეთ, მიუგო კულ-დამბიღებით როზამ, დიდის სისწრულით შევასრულებ. სხუეს რასა მთხოვთრა ვქნა! ოჰ, დიქრთო!

— როდესაც მოვიდეს ხოლმე ტეის მცველი, უნდა ალერსიანათ მოექცე; მაშინ იქნება კიდევ შეგირთოს.

— ჩემთვის საჭირო არ არის.

— რაო? იქნება გგონია, ის დიდი ბატონი, ბეჭელი რომ გაჩუქა სამადლოთ, შენ შეგირთავს? ეს



უთხრა დედაკაცმა ზე გაიხარხარა, შენ სულებლო, ის გრაფინასედ ჯვარს იწერს ზე იმისთჳს ხშირად იარება სოფელში; თითონ გრაფინასე მოასლემ მიანბო.

— მე ეგ არა მჯერა, მიუგო როსამ.

— არა შენი თავის განყოქამ, მამ შენ შევირთავს.

— მე არც მაგას ვანბობ, არც იმას.

— მე კარგათ ვიცი; რასაცა ფიქრობს ეგ შენი უგუნური თავი! გოგოვ, შენ კომბიო, როგორ ბედავ სიტყვას მიბრუნებ!

— ვინ რას მოგახსენებთ. უთხრა როსამ.

— კიდევ გეტყვი რომ ტყის მცველს 'აღერსიანათ მოექცე როდისაც მოვიდეს, თორემ ვაი მოვა ზე თან წავიღებს, უბძანებდა დედაკაცი. ეცადე ხელი არ გამოვიღო, თორემ შენ არ იცი ჩემი სასრეების ძალა.

— ხომ უველასედ დაგუვით, მიმსახურეთ, მამუშავეთ, წუალი მაზიდვინეთ, ზე გთხოვ მაგ სიტყვებით. გან კი გამათავისუფლოთ. ეტყოდა როსა ტირილით.

— ხმა გაიწვირტე შენ კომბიოვ!

როსა გამოვიდა ვარეთ, ჩუმათ წავიდა მოშორებით, ტყის ჰირას ზე ფიქრობდა ის თავისთჳს.

— უველასა ჭვავს ნათესავი, ერთი მანც არი, მხოლდ მე ვარ თბილი, თხერი, ტილი, ერთს მტ-

გულს ალაგსედ არ შემიძლიან ვთქვა, რომ ჩემი საკუთრებაა; არაფერ მეავს, იმისთანა, ვისაცა უუფარდე. მე ვარ თითქო გაკდებული, თავითგან მოძორებული, ოჰ, მძალლო ღმერთო! ნუ თუ სრულებით დამიტყვე; გადმომსედე, შეძიბრალე საწვალობელი, რომელსაცა არ ვინა მეავს ქვეყანაზედ. სომ იცი ღმერთო, ნანაოვნი ვარ, შენასარ ჩემი მამა, მომეცი სული შესწობისა,—ესა თქვა, დაეცა მუსლებსედ ზ ლოცულობდა გულმხირუადად.

ეს ის დრო იყო, როდესაც გუბერტი ზ გრაფინია ცხენებით მოდიოდნენ ტეეში სასეიროთა ზ თან მსლებლები მოსდევდნენ; გრაფინია მოდიოდა წინ ზ რომ მოახლოვდა იმ ალაგს, სადაცა როსა მუსლ-მოდრეკით ლოცულობდა, უცებ დანახვასედ, გრაფინიას ცხენი დაფრთხა; გრაფინიამ დაიწვილა; როსამ ეს ანბავი ნახა თუ არა, წამოხტა ზ მაშინვე ცხენს მივარდა, ცხენმა როსა ათრივა, მიიტანა, ერთს ჯირკვს ისე შეახეთქა, რომ გულს შეუწუსდა ზ ამ დროს ცხენიც შედგა, გრაფინია ვადარჩა გადმოგდებას.

— ეს რა ჯადო ქარი იყო გზაზედ! ჯავრობდა გრაფინია, რა აიღო თავისი შოლტი როსას დასაკრაფათ; შეგიძლიან შენ უმსგავსო ცხენი მიხლა? ვაი

შენი ბრალი თუ ჩემ ცხენს აუტედა რამე! სთქვი, ზა-  
სუსი მომეცი, თორემ მაკ ენას ამოგამჩობ!

გუბერტმა ეს რომ ნახა, მივარდა, შუაში ჩავარდა  
ღ გრაფინიას შოლტი შეუკავა.

— ეკ რა საკადრისია გრაფინიავ, შეუძახა გუბე-  
რტმა,—ამ საწყალმა ქალმა თაეი ვადადო თქვენს  
მოსარჩენათ ღ მადლობის ნაცვლად, ცემასაც უპირებო.

როსამ მადლობის სახით შესედა გუბერტს.

— ეს რის მიზეზი, რომ ცხენი დამიფუტსა,—ან  
რა თქვენსი საქმეა რომ ესარჩლებით უფალო ბარონო!  
რას აკეთებდი აქა თქვი?

— მე ვლოცულობდი, დიდო ქალბატონო, აი  
ამ ჯვარის წინ, რომელიცა მე ჩემის ხელით ვაყაყუ-  
თე. მანატივეთ, კვიან დავინახეთ, თორემ როგორ არ  
მოკერიდებოდით.

— რა სახელი გქვიათ ღ რა გვარი ხარ?

ამდროს როსას გულს შეუწუხდა, რადგანც მუხლი  
ელმოდ, ცხენმა რომ აითრივა.

გუბერტმა ეს რომ ნახა, მაშინვე მივარდა.

— საწყალო როსა! ოჰ, როგორ ფერი წაუვი-  
და. არ იქნა, მიშეუღეთ არ მოკვდეს! ანბობდა ზა-  
რონი.

— რაო, როზაო? ეს რა შესძის ბარონო? განკვირვებით ანბობდა გრაფინია. საიღვან იცნობთ ღ რა იცით, თუ თქვენში ერთი საქმე არ არის, რომ ამას როზა ჰქვიან.

გუმბერტს ვითომც არ ესმოდა გრაფინიას ლაპარაკი.

— საწყალო, საცოდავო როზა, ანბობდა ბარონი; შენი თავი შესწირე ამის გულისათვის, რა არის ერთი სული დაფიქსნა განსაცდელისაგანო; შენ კი ნაცვლად მადლობისა, გაუფერვიან.

გრაფინიამ სასაცდლოთ გაიხარხარა.

— რაო, ბარონო, შენი თავი შესწირეო? უთხრა გრაფინიამ, — მაგისტანა უბრალო გოგოს თავის შესწირვა რა უნდა იყოს, აკი არა აღრევე მიგისვდი რომ საყვარლები გეყვდა.

— თვალებს ახილებს, მადლობა ღმერთსა ანბობდა ბარონი.

როზა მადლობის თვალთ უფურება გუმბერტსა.

— ღმერთმა გადაკისდოთ ჩემის სიკეთისათვის. ეუბნებოდ რაოზა.

— ახლავე, მიიუვანეთ წუნარა ცხენით ეს ქალი ღ გრაფინიას სჯალნაში, უთხარით მოახლეებს დაწ-

ვინონ, ჩუქნც ახლა მოკალთ. უბძანა თავის მოსამ-  
სახურებს.

— ოჰ, რა მადლობელი ვარ, რომ იმ ჯოჯო-  
ხეთს ქოხში აღარა მკზაწნით, უთხრა როსამ გუბერტს.

— საუვარელო გრაფინიაჲ, კაცთ მოუვარეობის  
მოვალეობა მამედვინებს ზე ამ ქალს, რომელმაცა თავი  
შემოგწირა, ვისტუმრებ თქუწნს ოთახში მოსარჩენად,  
ზე როცა მოწრება, ისევე თავის გზაზედ წავა, იმედი  
მაქუს თქუწნც თანხმა შეიქნებით ზე ამ გვარ კადნიე-  
რებისთვის არ გამიწურებით.

გრაფინიას მეტი ღონე არა ჰქონდა, თანახმა გამს-  
დარყო.

როდესაც გრაფინიას სახლში დაბრუნდენ, გრა-  
ფინიაჲ გვერდზედ დიდი უკმაყოფილობა გამოაცხადა,  
როსას შესახებ; უმადურათ დაუწყო ბარონს ლაპარაკი.

— უფალო ბარონო, დიდი საუვარელი სტუმარი  
ბმანდებოდით აქამდინ ჩემი ზე ახლა, რაც თქუწნში ეს  
შეენიშნე, უკაცრავად, ის გული აღარა მაქუს თქუწნ-  
ზედ რაც გული აქამდისინ მქონდა.

— დიდად გამდლობთ გრაფინიაჲ გულწრფელე-  
ბისთვის; მხოლოდ ერთი სათხოვარი უნდა მოგახ-  
სენოთ, — უთხრა ბარონმა.



— რადგანც მოვალენი ვართ, დავრდომილთათვის ვისრუნოთ ღ ამას გვიწერს ჩუნი საღმრთო მოვალეობა, ამისათვის გთხოვ დიდის ვედრებით, მინამ მე დაუბრუნდებოდე ქალაქითგან ეგ ქალი აქ იუოს, დოკტორს გამოვესაფნი ღ მოწიება თუ არა, თავის გზაზედ წავა. მოგესხენებათ ჩემი სამსახური, უნდა წავადე.

ბარონი გამოემართა თუ არა ქალაქისაკენ, გრაფინამ მაშინვე უბძანა, თუთ როზა გაეუფანათ ამის საწოდითგან; ის მიიტანეს კრლოტით გრაფინიას იქვე სოფელში ერთი გლეხი დედაკაცის სახლში ღ იქ დააწვინეს.

---

## XXXI.

### ვექილები.

ინვალიდების ქუჩაში, რომელიცა ბოლისაგან გაშავებული იყო, მჭედლები რადგან გვერდსენ მუშაობდნენ; იმ სასალების გამჭვარტლულს ოთახში იჯდა, წელში მოკაკული ჭ წვერ თმა გათეთრებული ბარონი ფონ რუდიკერი.

ბეელს, დანჯღრეულ მდივნის წინ იდგა, ჩირქიანი მრგვალი სტოლი; ბარონი იჯდა ამ მრგვალ სტოლთან ჭ სწერდა; იყო საღამო ჭ ცდილობდა ბარონი, მალე დაეწერა ჭ ეს წიგნი ჩუბრა ფორტით გაეკსავნა. ისა სწერდა წიგნს თავის ცოლსა, რომელიც იყო წასული თავის სიძესთან უცხო ქვეყანაში, ზოგი მიხეზი ის იყო, რომ ქმარი თავისის ცუდის ეოფაქცევით

კალატაკდა ზ სოგი თავისი ავით მუოფობა იყო; ბა-  
რონის შვილი გუბერტიცდიდი ხანია განძორდა მამას,  
რა არის მამის ჩირქი მეც არ წამეცხოსო; ის ათასში  
ერთხელ თავის ჯამაგირითგან ფულს უგსაჟნიდა მამას,  
მაგრამ არათუ ნახავდა, წიგნსაც კი არა სწერდათ.

ბარონს დიდი ხანი იყო შვილი აღარ ენახა,  
რაც მოსამსახურეები ჰქუანდნენ სულ ერთიანათ დაით-  
ხოვა, რაც რამ ჰქონდა სულ ერთიან მოვალეებს მიჰ-  
ვიდა ზ თითონ ხან სად იყო, ხან სადა; ბინათ კი  
ეს შემო აღწერილი ოთახი ჰქონდა....

წიგნისწერა რომ გაათავა კალაში დაგდო ზ წა-  
მოდგა; სახე შეჭმუყენილი ჰქონდა, სახე ჭლრიჭებოდა;  
ის იყო მწუსარებისაგან გონება დაფანტული; მოჰქუა  
ოთახში სიარულს ზ თან ლაზარაკობდა.

— ამისთანა სიცოცხლე მამძიმებს. მე გამოვეთხოვე;  
ჩემი შვილები ადვილად დამივიწიებენ; არც შეიძლება  
მე ეს გაუკვირო. რადგანც ჩემ ხელში ერთი დღე  
კეთილი არ უნახავთ; განა ჩუჭნის ოჯახში თავის დღე-  
ში სიუვარული უოფილა!

«მოკვირდა დრო ლეო ფონ რუდიკერ! აღარაფრის  
იმედი შენთვის აღარ არის! თუმცა იმედი მაქვს, შენი  
ძმის გონება შენ დაგრჩეს, მაგრამ ესეც რომ მოხვდეს,  
2

მანც სასწრაფო მოგელის. ნეიპერტმა უველა მთა-  
სერსა, მაგრამ ისევე დამაბესლებს მთავრობას, რადგანც  
ფული აღარა მაქვს ვაძლიო.

დალაშდა. ბარონი მივიდა ძველ შუაფთან ზე გამო-  
ილო ლეგორველი.

— მე მნახამ სვალ დილით სისხლში გასრვილსა,  
ლულულეებდა ბარონი ზე დასდვა სტოლზედ დამბა-  
ჩა, — სწვა ცხა აღარა მაქვს, რომ თავი დაუიხსნა; ეს  
უკანასკნელი ღონის-ძიებალა არის, კარგად გატენილია,  
იმედია ერთის სწოლით გათავდეს ჩემი საქე. მხო-  
ლოდ ზე ბევრი ფიქრი საჭირო არ არის, თაჯს ლა-  
ფის დასხმას, ისევე ესა სჯობია.»

ბარონმა ჩანმასი შეაყენა ზე რომ უნდოდა გულსეჲ მიი-  
დო, ამ დროს ვილაცამ დაარახუნა. მივიდა თუარა ზე გააღო  
კარბი, ნეიპერტი შემოვარდა. იმან რომ ნახა ბარონი  
ზე იმისი დამბაჩა, მაშინვე მიხვდა.

— რასა სჩადიხარ ბარონ, შენგან არ მიკვირს,  
როდესაც უველა საქე რიგზედ მოგიყვანე, როდესაც შენი  
ძმის დოჯლათი შენა გრჩება, მაშინ იკლავ თავსა!

კარგათ იცი რაც სამსახური გავიწიე; ძმის-წულის  
კვალი ვინოვნე ძმას უარესი დღე მივაყენე, დავრჩა

ქერივი რძალი და სულ შენი არ არის.

— ხელი აიღე ნეიპერტ, დამანებე თავი, მინდა მარტო ვიყო,

— ერთი უკანასკნელი სიტყვა კიდევ დამიჯერე, შენს ვეჟილს ნეიპერტსა.

— რაო, რა გინდაო? სთქვი. უთხრა ბარონმა.

— ჯერ მომეცი ეგ დამბახა თავის ადგილს შევინახო. ეუბნებოდა ნეიპერტი, რა გამოართო დამბახა. — შენ, ბარონ ერთი სახლი კიდევა გაქვს, მოდი ის სახლი გაუიდე და იმ ფულით სამსხლავარს გარეთ გაუიდეო, იქ დიდ ფულს ვაშოვნინებ, იქ გამოჩენით შემოდინა ვიარო, აქ თუ არ დამით თავი გარეთ ვეღარ გამოიყვია, ჰოლიცია ისე გაცხნარებული დამეძებს; — ამ ორიოდ დღეში, შენს ძმისწულს, რომელიცა ცოცხალია, და რომელსაც როზას ეძახიან, მოუკლავ და სულ შენ დაგჩეხება ქონება, საკვირველი საქმე კი მოხვდება, ის ჰატარა აკვნის ეძაწვილი, ერთს ხევი გადავაგდე და რა ეძმაკმა გადაარჩინა. ეს სულ ურჩის ბრალია.

— არა ნეიპერტ, მე ისე არა ვისი არ მეძინიან, როგორც შენი, შენ ერთი ჰირის კაცი არა ხარ, შენ თითონ გამყიდი მე.



— რათა, განა მე იძისთანა ვაჭი ვარ.

— ამას გარდა, თუნდა ჩემი ძმის სიმდიდრე მოვიგდო, მაინც შენ ვაძრცრცვნი ზ ტყვილათ ან იმას რათ დავაკლო. ერთის სიტყვით ამ ქვეყნისა მე აღარა მინდა.

— რადგანაც აგრე არის ზ რადგანაც შენგან ფული აღებულა მაქვს, მაინც იმ ქალს შენ ძმისწულს როხას, მოვიკლავ; მეორეს კიდევ ბრმა ურიას ზ კიდევ გავარდები ამ ქალაქითგან, რომ აღარ შედგომილება აქა. ერთი შენა მკვადი ზ შენც თავს იკლავ.

— თუ მართლა ცოცხალა ის ქალი ზ თუ იმედია ნეიპერტი, აუტეს რასმეს, აღარ მოვიკლავ თავსა ზ იმ სიმდიდრით შენც ვაგაკეთებ.

— სწორეთ?

— სწორეთ გეუბნები უთხრა ბარონმა.

— მაშ კარგი, მიუდივარ შესასრულებლად, სთქვა ნეიპერტმა ზ ელვასავით გამოვარდა კარეთ.

## XXXII

### ომიანობა.

დანასა ღ ჰრუსიის შორის ატედა არეულობა, სომ ვერ მორიგდნენ მასედაც ლაპარაფი ჰქონდა, და იწვეს ომიანობა. ჰრუსიამ შეეარა ჯარი; ჰრინცი ფრიდრისი კორლის ჯარში იმყოფებოდა გუბერტ ფონ რუდიგერიცა; იმას ეს ანბაფი ძრეულ უსაროდა ღ მხათ იყო თავისი თავი დაედვა მამულისათჳს; დედამასთან დამოკიდებულობა აღარა ჰქონდა რა ღ სანახა შეელად არა ვინ გოლებოდა, იმას მსოლოდ გულში როსას სიუვარული ჰქონდა, ღ რადგანც ომში წასვლას აპირებდა, ამას გარდა ავათმოფსაც თავი მიანება, უნდა მისულიყო ენასა ღ გამოეთხოვებოდა. ის ერთს დღეს განემართა იმ ქონისაკენ, სოფელ-

ში, სადაც გრაფინია სცხოვრებდა & რომელსაც ერთიც ვიღაც გლუხკაცის სახლში წააყვანინა.

— ის ავით მეოფე წავიდა. უთხრა ბარონს დედაცმა.

— როგორ თუ წავიდაო! მერე სადა?

— არვიცით ეგ კია &, ამ საში დღის წინათ კი, ვიღაცა ორნი ძოვიდნენ, ერთი იყო მოზუცებული კაცი & მეორე კასათხოვარი ახალ გაზდა ქალი, რომელთაც დიდის სინარულით გაჭყვა.

— საკვირველია! ანბობდა გუბერტი, რა ეგონა საშიშრობას კიდევ არ მიეცესო.

— ეს გრაფინიას მხრივ დიდი უსვინდისობა არის & ამის გულისთვის ჩემს სიცოცხლეში თვალით არა ვნახავ შე იმასა.

გუბერტი იქაც წავიდა, სადაც რომა იპოვნეს & ჰყვანდა ანდრია მილლერის სახლში, მაგრამ ვერცა რა იქ გაიგო რა & დაბრუნდა შეწუხებული ბელრინში. იმან დაკარგა იმედი, რომ კიდევ ნახავდა როდისმე რიზასა.

იმის ჰირველ დღეს, როდესაც იმისი ჰოლკი გადიოდა საოპრად, გუბერტი მივიდა თავის მამასთან, უკანასკნელად სანახავად & გამოსათხოვნელად.

— შენ აფიცარი ხარ ზე მსურს რა ომშიაც მი-  
დხარ, ბედნიერებით გაიმარჯო, უთხრა მამამ; თუ  
რომ მოკვდები მამულისათვის, არ ვიქნები უმადური,  
რადგანაც მოკვდები მამულისათვის.

— მე მომხადებული ვარ სასიკვდილოთ. მე ას-  
რად მოველი მადლობა გითხრა, რაც რამ ჩემსედ მი-  
ვიღიათ შრომა ჩემს გამოზრდასედ, მშვიდობით!

ამ სიტყვებით გამოეთხოვა შვილი მამას ზე მო-  
ვიდა კახარში

მეორე დღეს კახარში წინ დამწერიდა ჯარი,  
სამარად წასასვლელად, რომლის წეობაშიც იყო გუ-  
ბერტყა. ხალხი დიდ ძალი უეურებდა თამამსა. რო-  
ცა დაჭრეს მუხიანტებმა შარბი ზე ჯარი უნდა დამ-  
რულიყო. იმ დროს გუბერტთან მივიდა ერთი უწვერ  
ულვამო ემწვილი, თექვსმეტის წლისა ზე უთხრა:

— მე გამომკვანა ერთმა ქალმა უფალო, რო-  
მელსაც ჭკვიან როზა, მოგიკითხათ, თქუწნი მშვიდო-  
ბით დაბრუნება ისურვა ზე შემოგითვისალოთ, თქუწნის  
ბედნიერად დაბრუნებისათვის, მუდამ ვილოცავო.

იმ სიტყვებმა ისე გაამხიარულეს გუბერტი, რომ  
სიტყვის თქმაც კი ვედარ მოახერხა; ბოლოს უნდა

დაეწო ლაზარაკი, დაწვრილებით გამოეკითხნა როსას  
ანბავი, მაგრამ გვიან იყო, ჯარი დაიძრა და კვას შე  
უღვა; მხოლოდ გუბერტმა, ეს დაიძახა: მაღლობა  
შენთვის დიერთო, რომ როსა ცოცხალია!..





### XXXIII

#### მ ვ ე ლ ი მ ე კ ო ბ რ ე ბ ი .

უმაწველი კაცი, თექვსმეტის წლისა, რომელმაც  
მიუტანა ცნობა ფონ რუდიგერს იყო კარლ შუარცი,  
შვილი, ღარიბის ქვრივის დედაკაცისა; რაც ბარონესა  
რუდიგერსა საზოგადო მიუტანა, მას აქეთ ბარონესა  
ჰსატრონობდა; იმან მისცა შოკლადი ღის ჩუღუფალასის  
მკრეფავი აღარ იყო, როგორც აღრე. დედა მისი,  
გამოიფანა ბარონესამ ნოტიო სარდაფიდგან, ზ დაუქი-  
ნა თავის სარჯსედ სასლი, რომლის ქირას ამღეუ-  
და თუთან ბარონესა; მრთელი სახლობა ლოცავდა ამ  
ბარონესასა, რომელსაცა უბედურება ეწია, ჯერ შვი-  
ლი დაეკარგა ზ შერე ქმარი.

ბიძია კაკებუშს ზ ლუისას მრთელ უხაროდთ ამ  
სახლობის ბედნიერება ზ სიღარიბითგან გამოსვლა.  
ესენი სშირად დადიოდნენ იქა; მხოლოდ იმათი მწუ-  
3

ხარება ეს იყო რომ გუსტავა რუბინი ცინეში იჯდა ჯერ კიდევ; ამას კარდა ას იგონებდა, როზასა, რომელიცა უცებ დაიკარგა უსინათლოს მამიანათ; ის კიდევ ფიქრობდა, რომ მკვდარი იყო ზ ცოცხალი აღარ იქნებოდა.

ერთს ზაფსულში, ფაბრიკანტებს, რომელთანაცა მსახურობდა კარლ შვარცი, ჭქონდათ დიდი დღესასწაული ფაბრიკისა, მრთელი ფაბრიკის მუშა ხალხი, უნდა სოფლად გაესხათ საქეიფოთ; მოამზადეს საჭმელსასმელი, ჩასსდნენ, ერთიანად ეკიზაქებში ზ წაუდნენ ქალაქის ხსლო გრაფინიას სოფელში; იქ სამ დღეს დიდი სიამოვნება ჭქონდა, კარლ შვარცი, დადიოდა თავის ამხანაგებით სოფელში, დასეირნობდა, ამ სეირობაში ნახა რომ ერთი ლამაზი ქალი, ერთი გლეხი დედკაცის კარებზედ იჯდა, იმან იმისი სახე მამინვე როზას მიამხეგავსა, მაგრამ იფიქრა, აქ რათ იჯდებოდა ისაო ზ სმის ცაცემა ჯერ გაბედა. როდესაც დაბრუნდნენ ქალაქში, კარლიც რა მოვიდა შინ, ლუიზა იქ იყო ზ იმას უანბო იმ ქალის ნახვა.

— ლუიზა; ერთი კარგი ანბავი უნდა გიანბო, უთხრა იმან რამწავს შინ შევიდა, ამ სამ დღეს ხომ იცი, როგორც ვუქმობდით სოფელში?

— ვიცი, იქნე რა ანბავია?

— აბა მისვდი!

— რას მივხვდე, რა ვიცი,

— მე მკონია რომ ვნახე ჩუჭნი, როცა.

— როგორ? შენი ჭირიმე, ძარტლა!

— ძარტლა ჭემპარიტად,

— მეტე რატომ არ გამოელანარაკე?

— მინამ არ დავრწმუნდებოდი როგორ გამოველანარაკებოდი; უნდა შენ თვითან წახვიდე ლუისა.

ლუისა მოუთმენლივ მოელოდა ბიძია კიკებუშსა ზე როდესაც ფუნის ხმა შემოესმა იძის მისვლისა, მაშინვე კარებს ეცა.

— ბიძიავ, თქუჭნი ჭირიმე კარლს როცა უნახავს ზე წამიუვანე, მახვენეთ თუ ძარტლა ის არის, ვნახოთ მაინც.

— ეკ რა მოგლანდებია, მიუგო მოხუცმა.

— თქუენი ჭირიმეთ ბიძიავ უარს ნუ მეტყვი.

— კარგი, ხვალ რეპეტიციები მაქუს ვერ მოვიცლი ზე სეგ წავიდეთ, უთხრა კიკებუშმა.

— გამდლობ ჩემო კარგო ბიძავ. უთხრა ლუისამ კადაევსია,

მესამე დღეს, კარებზედ მოადგა დროშა, ჩასხდნენ ზე წავიდნენ.

ლუისა მოუთმენლივ მოელოდა როზას ნახვასა; თუცა თავის დღეში იმ სოფელში არა უოფილიყო, როდესაც მიაგნეს გლეხი დედაკაცის სახლსა, ნახეს, როზა ვარეთ ეზოში მწუნარის სახით: გულსელ დაკრეფილი დადიოდა; მიჰარდა ლუისა, რა იცნო ზე გადაეხვია.

— შე შენ აქ ვერ გაგიშვებ როზაჯან; ეუბნებოდა ლუისა.

— ეს ეს არის მოვრჩი, სიარულიც ძლივს შემოდინან, მაგრამ რომ მოვკვდებოდე მანც წამოვალ. ღუთის გულისათვის მომაშორეთ აქაური, ბასა.

მოხუცმა კიკებუშმა სიბრთხილით ჩაისო დროშაში, მოუსხდნენ გარს ზე გამსწიეს ქალაქისკენ. რასაკვირველია როზა გზაზედ ეუბნებობდა თავის თავის თავს გადასავალსა ამასთანავე გუბერტის გაცნობას ზე იმისი კულტკივნელობას.

— ვხედავ რომ ძალიან შეკუვარებია როზა. უთხრა ლუისამ.

— არ შემოდინან კითხრა, თუ როგორი კეთილია ზე ალერსიანი; როგორ მიბრთხილდებოდან, რო-

ღესაც ავითმოყოფი წამიყვანეს, მაგრამ ჩემ საუბედუროთ, მას აქეთ ველარ ვნახე რომ მადლობა შეთქო მანც.

— საწყალო როზა, ეუბნებოდ ლუიზა, როგორც შენი ლაპარაკითგანა სჩანს, ძალიან შეჭყვარებიან იმასაც; მაგრამ ის რომ დიდი კაცია, აფიცრება და ჩუქნ კი საწყალი კაცის შვილები ვართ.

— რა უფოთ, განა დიდი კაცი რომ არის, არ შეძლება მიუვარდეს? რასაც შენ ფიქრობ, მე ეგ არც კი მომგონებია, უთხრა როზამ.

— ღმერთმა ინებოს როზაჯან, ავრე იყო.

— შენ დამაფიქრე ლუიზა, ახლა კი სწორეთ გადავივიწვე იმედი, უთხრა როზამ.

— სჯობია დავიწყო ჩემო როზა.

— ოჰ, არა, ვერ დავივიწვე ჩემ დღეში და იმედს კი გადავივიწვე, რომ მე მდებალი კაცის შვილი ვარ და ის დიდი კაცი.

ერთხელ კიკებუშმა მოიტანა ანბავი, რომ ომიანობა არის და ჯარები მოდიანო, როზა მაშინვე მისვდა, რომ გუბერტი რუდიკერიც, როგორც აფიცარი იმ წუბაში იქნებოდა და კარლი გაკსავნა, როგორც სემოთა ვთქვით და დაბნა რაც საჭირო იყო.



როდესაც კარლი მობრუნდა, მაშინვე ლუიზა ზ  
როზა, მივარდნენ, შეეტყობთ ზასუსი.

— მე ველაზარაკე იმას, უთხრა კარლმა, ის  
ზირველად ძრეელ გაჭკვირდა, მერე ისე გაეხარდა  
რომ სინარულით ველარა გაიგო რა; იმან ამოიოხრა,  
ამ დროს ჯარი დაიძრა ზ მეტი გზა არ იყო, ისიც  
უნდა წასულიყო.

ამ სიტუაციაზედ როგორც ლუიზას, ისე როზას  
უხაროდა; მხოლოდ როზას ეშინოდა გუბერტს არა  
ასტეხოდა რა. სთხოვდა ღმერთსა, ერთი კიდევ ენახა  
ძანც.

## XXXIV.

ნ ა ხ ვ ა .

პრუსია ზ დანია შეიტაკნენ, ბერლინის ქალაქში მოდიოდა ანბაფი, ეს მოკვდა, არა ესაო? როზა მწუსარებისაკან აღარ იყო; იმას ჰქონდა გუბერტის მწუსარება, რომ ისიც არ მოეკლათ.

— ამასეღ მეტი აღარ შემიძლიან ავიტანო შენი მწუსარება როზა,—ეუბნებოდა ლუისა. ბიძია კიკებუში, რომელიცა ეოველდეუ გაზეთებს კითხულობს გვარწმუნებს, რომ ის კარგათ არის ზ სიკვდილით არა ასტესიარაო, ეოველთვის ხომ არ უნდა იტირო.

— ნუ ჯავრობ ლუისა; უპასუხებდა როზა, რა კენა, ვაი თუ ველარა ვნახო.

— თუ გინდა ბიძია კიკებუშს ვთხოვ გუბერტს წიგნი მისწეროს, უთხრა ლუისამ.

— ახ არა ლუისა, ეკ არ შეიძლება.

— რატომ არ შეიძლება. ეს სომ შეიძლება, შენ თითონ მისწერე.

— იცი რა ლუისა, მოდი ბიძია კიკებუშს. მივაწერინოთ წიგნი ბ ბოლოს ორიოდ სიტყვასაც შეჩავაწერ. უპასუხა როსამ.

— მამ ახლავე წავალ, ფორტის ქაღალდს ვიყიდი ბ ბიძიას მოუძახდებ. ბიძიამ იცის თუ როგორ მისწეროს წიგნი დიდ კაცსა.

ლუისა გაიქცა დუქნისაკენ ქაღალდის სასყიდლათ, მოიტანა თუ არა ლუისამ ქაღალდი, კიკებუშიც მოვიდა, იმან მოიტანა გასეთის უგნასკნელი ნომერი.

აი ახალი ანბავი, აბა წაიკითხეთ ქალებო გუბერტზედ რა სწერია, უთხრა კიკებუშმა, ოფიციალურს ცნობაში ეწერა.

«გუბერტი ფონ რუდიკერი, რომელმაცა მტერს წაართვა, ბაიზლი, წარდგენილი ჰრინც ფრიდრინ-ვარლანსგან, როგორც ვაჟკაცი აფიცარი, მისის დიდებულებისგან, პირად დაჯილდოებულ იქმნა კავიტანის ჩინით.»

როსამ ეს რომ წაიკითხა, მეტის სიხარულისგან ჰკუთოტან შეიძალა.

— ახლაც არ გაათავებ შენ ტირილს. ეუბნებოდა ლუისა. ახლა მანც გამხიარულდი.

ქალების თხოვნით ბოძა კიკეებუშმა წიგნი მოსწერა გუბერტსა; ქვემოთ რამდენიმე სიტყვა წააწერა, ჭკაკსაზნეს ფოხტით, აი რა ეწერა წიგნში:

— უპატოვცემუღესო უფალო კანტანო! ამ წიგნის ქვემოთ კელინდომწერელი, რომელს სახლშიაც დგას, ეოვლის სიმაღლეთ სრული როზა, მოკმარათავს ამ წერილითა, როზას მონდობილობით, რომელიცა გილოცავთ კანტანის ჩინსა და სთხოვს გულმხურვალიდ ღმერთსა თქუქნს დაბრუნებასა. დიდად ჰსწუხს, რომ არა გვენოთ რა.»

ლაკიში, ომითგან რომ მოისვენეს გუბერტს ღუნბაჩიკმა შეუტანა ფოხტითგან მოსული წიგნი, რომელიცა როდესაც გახსნა, დიდად იამა; იმან მაშინვე მიიღო ქაღალდი, საწერელი, კალამი და მოსწერა ჰასუსი, რომელიცა იუო სავსე დიდის სიუვარულითა.

ლუიზას ჭ როზას სისარულის წარმოდგენა აღარ შეიძლებოდა როდესაც თავიანთ წიგნის ჰასუსი მიიღეს, როზას სიცოცხლე იმ წიგნის მიღების დღითგან დაიწყო.

ლუიზა ჭ როზა, მოლოდინში, სცხოვრებდნენ ხელსაქმითა; ლუიზა მიდიოდა, მოჰქონდა საქმე, როგორც თავისთვის, ისე როზასთვის, კერავდნენ ფასილებდნენ ჭ იმითი გამოდოდნენ ჰატოოსნად. ერთ-

სელ ლუისა ჩვეულებრივ გავიდა საქმის მოსატანათ,  
იმან ძალიან დაიკვიანა, ბოლოს როდესაც მოვიდა,  
გახარებული შეჰოვარდა,

— ოჰ, როსა, რა გახარო! მე ვინოვნე მამა  
ლევი.

— მამა ლევი? მითხარი შენიჭირიძე სადა?

— მოიცა ჯერ, შევისვენო, სიხარულით ვუღარა  
გავიგერა, მაგრამ იმდენად დავიღალე.

— ასე, კიდევ ვნახე მამა ლევსა!

— იმან უნდოდა გამოემოლოდა ახლავე, მაგრამ  
მე აღეთქვი, როსას თითონ აქ მოვიყვან შეთქი.  
უთხრა ლუისამ.

როსამ მაშინვე წამოისხა თავისი ძველი შალი და  
დაიხურა გაცვეთილი შლიანა, ისინი რა გამოვიდნენ,  
ლუისა ელაპარაკებოდა გზაზედ.

— მამა ლევი ძალიან დაბერებულა, მაგრამ კარ-  
გათ კი სცნოვრობს, ისა დეას მდიდარი ფაბრიკანტე-  
ბის სასლმი; ასეთი კარგი სუფთა ოთახი უჭირავს, რომ  
სასიამოვნო.

— მადლობა ღმერთს, ჩხარა წავიდეთ ლუისა.

— მამა ლევი თავისთან დაგაყენებს, მე სომ  
მარტო დავრჩები. ეუბნებოდა ლუისა.

— მალმალე მოვალ ხოლმე შენს სანახავათ.

როდესაც მივიდა როზა ზ ნახა ლევი, მოვარდა  
ღ გადაეხვია მოხუცს უსინათლოსა.

— ოჰ, ჩემო კეთილო მამავ ლევი!

— ცამ მისცა ის ბედნიერება მოხუცებულს  
ლევის, რომ კიდევ მომცა შენი თავი შვილო, უთხრა  
მოხუცმა ზ მოუვიდა ტირილი. ჩემი ლოცვა შეისმინა  
ღმერთმა ზ მომცა კიდევ შენი უმაკო თავი.

— ახლა აღარ მოგშორდები საუფარელო მამავ,  
უთხრა როზამ.

— ჩემი სიკლუდილის დრო ახლა კი მოახლოვ-  
და საუფარელო შვილო როზა, ახლა მოსვენებით შე-  
მიძლიან თვალი დავხუჭო სამუდამოდ, რადგანაც ვიცი  
კარგათა ხარ, როგორც სხეულით, ისე სულით. მო-  
მისხედით შვილებო ზ მიანბეთ, რაც გადაგვდათ  
თავსედ.

როდესაც თავის თავ გადასავალი დახსრულა,  
უთხრა მოხუცმა როზას.

— გუბერტ ფონ რუდიგერი, დიდი კაცია, ის  
არის ბარონის შვილი, უთხრა უსინათლომ, — დიდი  
კაცია შვილო ზ შენთვის შესანიშნავი კაცი.



— ისეთი კეთილია მამავ ზე კარგი რომ მეტი  
არ შეიძლება. ეუბნებოდა როსა.

უსინათლომ შეიტყო, რომ როსას უყვარდა ბა-  
რონი ზე ეშინოდა ამასვედ.

ლევი ზე როსა დარჩნენ ერთად, ლუისა წამოვიდა  
შინ. როსასათვის დაიწყო ახალმა ცხოვრებამა.

როდესაც ხმა გაისმა, გამარჯვებული ჯარი მო-  
დის ამა ზე ამ დღესაო, მრთელი ქალაქი გავიდა მი-  
საგებებლად. ლუისა ზე როსაც წავიდნენ თამაშის სა-  
ნახავათ, რომელთაცა გაჰყვა თან ბიძია კიკებუში. დი-  
დის ანბავით შემოვიდა ჯარი, იმ დღეს ბერლინში  
დიდი სადღესასწაულო დღე იყო, იმ დამეს ჩირაღდანი,  
ვეელას ფანჯრები სამთლებით გაჩაღებული იყო. რო-  
სამ ანთო სამთლები სხვათა მისედვით ზე ამანათ  
დააწყო ქუჩის ზირას ფანჯრებში, ზე რა უვაილებცსა  
უნუობდა, უცებ კარები ვილაცამ დაარახუნა; ის მი-  
ვიდა, ზე რა გაულო, ნახა გუბერტი ფონრუდიგერი,  
კაპიტნის ტანისამოსით; იმან გამოუწოდა კელი ზე  
შემოვიდა ოთახში, მოხუცებულმა ლევიმ ქუდი მოუნა-  
და, მოიკითხა ზე მოულოცა, როგორც მშვიდობით  
დაბრუნება, ისე კაპიტნის ჩინი.



— გთხოვთ თქვენსავე ადგილს დაბმანდეთ ბიძიავ, უთხრა გუბერტმა უსინათლო ლევსა, ნება მიბოძეთ რამდენსაჲე მინუტს აქ დაჯდეთ, რომ დავისვენო ბევრის შრომის შემდგომს; მევე გამოვეთხოვე როზას, უგებველია გიანბობდა კეთილო მოხუცო, როზა, ერთმანერთის ჩუქნს სიყვარულსა. გთხოვ არ გაგვიწერეთ?

— რათ გაგიწერებით, თუ კი თქვენნი სიყვარული ჰატიოსნურია.

— რა მოხარული ვარ როზა, რომ ამ კეთილის მოხუცის მეზრველობასა ქვეშე ხარ. ახლა მოსვენებით შემიძლიან გაგმორდე, ჩემი სამსახურის გამო ახლა შორს ქვეყნისაკენ მივდივარ. უთხრა გუბერტმა.

— მამ ველარა ვნახავთ ერთმანერთს? ჰკითხა მწუსარებით როზამ.

— გული დაიმშვიდე! ერწმინე ჩემს ერთგულს სიყვარულსა! რაც უნდა შორს ვიყო შენგან, მაინც გული შენთან იქნება.

— გესმის მამაო ლევი, რას ანობხს? ვუბნებოდა უსინათლოს როზა.

— მესმის, მაგრამ არა მჯერა, მიუგო მოხუცმა, მარტო სიშორე არ გაგამორებენ ერთმანერთსა.

— მომეცით დრო ვეელასათვის ვიფიქრო, სთქუა

გუბერტმა, რა მოჭხვია ხელი მოხუცსა როდესაც სამ. სახურში აქ გადმოვალ, რომლისათვისაც ვცდილობ, მაშინათვე დავიწერ ჯვარსა! ნუ იწუხებ როზა, ერწ. მუნე ჩემს ჰატოხან სიტყვებს.

— ძვერა საუვარელო გუბერტ. მიუგო როზამ.

— თქუწნი სიტყვები სულ მართალია, მაგრამ როცა დრო მოვა, მაშინ მე ბევრი სათქმელი მქუქს, რომელიც უნდა გამოკიტედეთ მაშინ ზ გითხრათ. უთხრა მოხუცმა. დმერთმა მომასწროს იმ დღეს, დმერთმა ინებოს ეკ თქუენი სიუვარული უცვალებელი იუოს. უსინათთო ლევს მრავალი გამოუცდია თავის სიცოცხლეში; დამილოცავს თქუწნი გზა.

გუბერტი წამოდგა, როზას შუბლზედ აკოცა ზ მერე მადლობა უთხრა მოხუცებულსა.

— მშვიდობით როზა, დაცივე შენი ერთგული სიუვარული ნუ იტირებ, ნუ იწუხებ ზ ღუთისგან იქონიო იმედი. მოვა ჩუწნი ბედნიერების დღე. მშვიდობით!.,

### XXXIX.

#### ბ ა რ ო ნ ი ს ა ლ ს ა რ ე ბ ა .

ბევრი წელიწადები გავიდა მას აქეთ, რაც ეს  
სემოთი აღწერილი ანბანები მოხვდა. დადგა, განსაფ-  
ხული, **1870** წელიწადი.

ბარონი რუდიკერი, იჯდა თავის ღარიბს ოთახს-  
ში, სადაც არც სამთელი ენთო, და არც გამთბარიყო,  
იჯდა გარინდებული და კედელს თვალ მოუშორებლივ  
უუერებდა; იძისი გაუფითლებული სახე, გამძმარი ზი-  
რი, გათურებული თმები; ამტკიცებდა, რომ ის ათა-  
ვებდა თავის სიცოცხლეს; ქალღლის თამაშობამ,  
რომლით იმედი ჰქონდა გაესწორებინა თავის მდგომა-  
რეობა, მიაღწევინა ამ ალაგამდინ. ზოლიცია შემოერ-  
ტყა ერთს ქალღლის მოთამაშეთ გარეუნილს სახოგა-

დობასა ზ იმით რიცხვში დაიჭირეს ესეცა; ნეიჰერტი  
კი გადაურჩა, რომელიცა იქ იყო ზ რომელიცა ფან-  
ჯრიდგან გადავარდა.

ის ისვამდა თავ ზირსედ ხელსა, რაღაცა სვინდი-  
სი სტანჯავდა ზ თავისთვის რაღასაც ლულლულებდა.

— გამეცალე მოლანდებავ! გამეცალე მარტენს!  
აღარა ვნახავ ამ დღებს, დღესა სრულდება ჩემი ტანჯა-  
ვა; დახედე, რა წითელი სისხლია, თითქოს ხელსა  
მწვამსო; ეს ტანჯვა სიკვდილზედ მეტია, სჯობს ძალე  
მოკვდე. ოჰ, რა მინდა სიკვდილი, მაშინ დაუიხს-  
ნებოდი ამ საშინელის მოლანდებისაგან! ჰკვიტვან რომ  
არ ვიძლები? მკვდრები ხომ არა დგებიან, ხა, ხა,  
ხა! გავალ ქუჩაში, წავალ ქახალდს ვითამაშებ, იქნება  
ხალხში დრო გავართო.

ბარონი წამოდგა, ის ძველი წამოსადეგობა აღარა  
ქონდა, კუხიანი, დამახინჯებული, დაბერებული, სახი-  
თვან შეშლილი, მიკლეჯილ—მოგლეჯილი; თმები  
აწეწილი,—ერთის სიტყვით ის იყო საშინელი სანა-  
ხავი.—ის კიდევ შეაჩერდა გარისხებული კედელს.

— აგერ ჩემი ძმა! მეუბნება! შენ უმსგანსოვო,  
რა უყავი ჩემი შვილიო! ფულის გულისათვის შენ  
ჩაიღინე საშინელი დანაშაულიო! ვაი შენ, უკვლანი

მოტევებუღნი იქნებიან, შენ კი თავის დღეში არაო  
რა დაგიძავე მე, რა დაგიძავა ჩემა უსუსერმა ბაშუმა,  
წაიღე ოქრო, ვერცხლი, რაცა მაქვს და დამიბრუნე  
ჩემი შვილიო.

ის მივიდა ძველ შუახთან, გამოიღო რაღაცა გა-  
სვეული ქაღალდში, რომელიც რა გახსნა შიგ იყო  
დარიშხანა; აავსო სტაქნით წყალი ზე ჩაუარა შიგ.

— რაო მარტენს, თავს არ მანებებ, მეც შენ  
მოგვეები.

— იმან აიღო სტაქანო, დარიშხანით სახსე და სულ  
ერთიან დაცალა.

როდესაც საწამლაჟმა დაიწყო მოქმედება, ის მი-  
უჯდა სტოლსა და კანგალით დაწერა:

«ჩემი სიკვდილი დროსა, ანდერმათ ვუტევებ, რომ  
მელიცა ჰირველად ამ ანდერმს ნახავს, ვთხოვ სამარ-  
თაღში წარადგინოს. რენტე მარტენსი, რომლის მო-  
კვლაში იმტყუნებენ რუბერტ რუბინს ზე ციხეში ზის,  
იმას არ მოუკლავს, ის მართალია; მარტენსი მოგვა-  
ლი მე, იმის წინათ რუბინსი რომ იქ იყო; სვინი-  
დისმა რომ ვეღარ მომათმენინა, ვაღუიარებ ახლა,

რომ ეგები დავისნა იმ ტვირთისაგან, რომელიცა გულზედ მასწევს.—»

ბარონმა ველარ შეიძლო, ხელები აუკანკალდა; გულის სიბრძნით დაიკვნესა ზე ანდერძი შეუსრულებელი დარჩა.

რომ ველარ შეიძლო კალმის დაჭერა ხელში, იმან სწინწით შეაჯობინა დედაკაცს, რომელიცა ემსახურებოდა, რომ შეეჯობინებინა თავის რძლისათვის ბარონესათვის, მოსულიყო ზე მამაკვდავი ემსახურა.

ბარონესა, რომელსაცა რაც ქმარი დაეკარგა, ერთი წელიწადი არ ენახა თავისი მასლი, რომელსაც მიაჩნდა მოსისსლე მტრად, რომ შეიტყო მასლი უკანასკნელს დღეში იყო, ტირილი მოუვიდა, მაშინვე ეკიზაჟი შეიმბევირა ზე მოიჭრა.

ბარონესა შეშინდა, როდესაც ნახა დაღრეჯილი ბარონის სახე, რომელიცა გადაშლარტულიყო ძველ მდივანზედ ზე სულს ებძოდა.

— დროა, წამოილუღლუღა ბარონმა,— მოდი ახლო, ხედავ ვიტანჯები ზე არა ვკლები, მინამ ჩემს დანაძაულს არ კავიჯობი, ეს ტანჯვა ჩემთვის, სიამ მოვინება. ეს ჩემი საკუთარი სურვილია. აგერ იქ ძევს ჩემი აღსარების ნაწილი, გთხოვ ჩემი სიკვდილის



შემდგომს წარუდგინო სამართალსა; უკანასკნელს წა-  
მში ვარ, შენ ხომ იცი ვალები შემართა ბ მძა ალა-  
რა მშველთა მეტს, მე იმედი მეონდა შენ ძალე  
მოკვდებოდი, რომ მე დამჩენოდა თქუწნი დოვლათი.  
ღირსი ვარ, მომარიდე სახე, რადგანც საშინელი რამ  
უნდა გავიტუდე, [მე მოვისუიდე რეიზერტი ბ შენი შვილი  
მოვაპარვინე, რომ უშვილო ეოფილიყავით ბ მედამრ-  
ჩენოდა თქვენი ქონება.

ბარონესა შერთოლდა, ბ ჰირზედ ხელი მიი-  
ფარა.

— კამიგონე კიდევ, ნეიზერტმა რომ მოიპარა,  
ღამით მიიტანა ბ სადღაცა ხევში ვადაეგდო იმ აზ-  
რით რომ მოკვდებო, არ მომკვდარა, ვიღასაც უპო-  
ნია ბ გაუხრდია, ის ახლა ცოცხალია, ნეიზერტმა  
იცის ვის სახლშიაც არის, როდესაც იმას დაიჭერენ,  
თვითონ ის გამოტუდება.

— ოჰ, შემობრალე ღუთის გულისათვის ამ  
უკანასკნელს შენის სიცოცხლის წაშს, მითხარი სად  
არის. ევედრებოდა დაჩოქილი ბარონესა.

— არ ვიცი, რომ მცოდნოდა ჩემთვისაც კარგი  
იქნებოდა, ესეც საკმაო არის რომ ცოცხალია. მომი-  
სმინე კიდევ ბ ნუ დამწუვეოი. ახლო მომიჯექი, ხმა



შეკარგება, ჩადი სარდაფში, აი გასაღები, იქ საბნელეთში ჩემი ძმა, შენი ქმარი ტუსაღათა მუავს, ისიც მე გამოვიტყუე, ნეიპერტის ცოლის შემწყობით, მძიმოვულა კი ვერ გავბედე ზეგება ისე დაოსდეს მეთქი, რომ თავის-თავად მოკვდეს, თუმცა ერთი წელიწადია რაც დატუსაღებული მუავს, მაგრამ ისიც ცოცხალია.

— ვალტერი ცოცხალია! დიდებულთა დემოთო, ეს რა მკამის, შეჭყვირა ბარონესამ და სისარულისა-გან კინაღამ გულს შეუწუსდა.

— ჩქარა განათავისუფლე, თორემ ჩემი სიკვდილის შემდგომს ნეიპერტი მოჭკლავს.

ამ უკანასკნელს სიტყვებზედ, ერთი საშინელი დაიუვირა, დაიღრჩვა ზეგათავდა.

ბარონესა მშშინვე შინ გამოქანდა, თავისი ერთგული მსახური, რამდენიმე სსვანიცა, წამოიუვანა ზეჩავიდნენ დანიშნულს ალაგას, ნახეს კრაოტზედ, ბნელაში დაოსებული უზატოურად იწვა ბარონი; მშშინვე სანთელი აანთეს და ძლივს იცნეს იმისი გაუვითლებული ზირის სახე.

— ვინა ხართ, რა კინდათ? ანბობდა ბარონი.

— როგორ თუ ვინა, ვერ გვიცნობთ, უზასუკი-

ბღა ადამ; აი ბარონესა თქვენი ცოლი; აი მე თქვენ-  
ნი ერთგული მსახური ადამ.

რომ დაინახა ბარონესა, ჭკუაზედ მოვიდა ზ  
იწყო.

— ვინა ხართ! ოჰ, ღმერთო! ეს რა ანბანია?  
სად არის ნეიპერტი? დამისხენით იმისაგან, შიმშილი-  
თა მკლავს. ანბობდა ბარონი.

— ადექით წავიდეთ შინ. ეუბნებოდა ცო-  
ლი.

— მე რე ნეიპერტი? გამომიშვებს.

ბარონესამ მოიყვანა ეკიზაყით თავისი ქმარი შინ,  
სადცა დააწვინეს ქვეშაგებში; მე რე შიმართა ჰოლიცია-  
სა, რომ თავისი მახლის ხელნაწერი აღსარება წარედ-  
გინათ სამართალში; ამასთანავე გაეჩხრიკათ ის საწ-  
დაფი, სადაცა ქმარი ტყვეთა ჭკუანდათ; იქნება ნეიპერ-  
ტი როგორმე დაეჭირათ. ბარონი უუათზედ მოვიდა  
ზ ეოვლის ღონისძიებით დაემებდა აგენტებით ნეი-  
პერტსა, თავიანთ შვილისა კი ვერა გაიგორა, თუმცა  
ახლა დარწმუნდნენ რომ ცოცხალი იყო.

---

# ოჰ, უნდა მოვკუდე?

---

ოჰ, უნდა მოვკუდე?  
მკვეთელს ცუღს მოვხედე!  
ეს ჩემი გრძნობა,  
მეტყველი ენა,  
ძალა, თუ ნდობა,  
თუ გულის ცემა;  
ეს სახე ჩემი,  
მშვენების მჩენი,  
ნიჭი ძრეელი,  
მრავლის მძებნელი,  
ვითა ლამძხარი,  
უნდა წუთს განქრეს?  
განქრა! დამარხეს  
საკანსა ბნელსა,  
ღ მომაშორეს

მძებს, თუთ მშობელსა;  
    რა გამოტანეს  
ღ დაძულეს ველად,  
    არც კი ვუოფილვარ  
თითქოს აი ქეჭენად!

—  
ოჰ, უნდა მოგვეღე?  
მკვეთელს ცვლს მოვხუდე!  
    სად დავიბადე,  
სად გავიხარდე,  
    ისადაც მაწუხა  
მუძუ დედამა;  
    სად ჩამესახა  
სული უკუდავი,  
    მრავლის მძებნელი  
ღ უხილავი;  
    იგი ადგილი  
დიდ მშვენიერი,  
    უნდა დავტოვო  
მე საუკუნოდ!....  
    აჰა, ჩვეულებრ

დადგა საფსული,  
მღელღო იცვალა  
აი ათას ფერად;  
მხიარულებით  
ჩიტო შექმნეს ფრენა.  
ვეელას უხარის,  
ვისაც აქუს ენა,  
მზე მედიდურად,  
უმსერს ქუჭყანას,  
ვეელა დიდგულად  
ამ ქუჭყნით ტკბება,  
ღ მე საბრალო,  
მიწის სიღრმეში  
ვწევარ უძრავად  
ღ უგრძნობელად!

ოჰ, უნდა მოვეკუდე?  
მევეთელს ცელს მოვხვდე!  
ხომ უნდა მოვეკუდე,  
თქმით რა გამოვა,  
ეს ჩუწნი ხვედრი  
სასოგადუა,

როდესაც მოკვდე,  
იქ გაბიტანონ  
    ღ იქ დაუიფლა.  
სადაცა ვიშვე,  
    სად დავიბადე,  
ღ სადაც არის  
    ჩემი ქუჭრანა.  
დე თავისუფლად,  
    სსეული ჩემი.  
იქ დაიშალოს,  
    ღ იქ განისრწნეს.  
დე ჩემი ძვლები,  
    იქ იუოს მეოფი,  
რომელს მიწასაც  
    მარად ვუტროფი.  
ვინ იცის მოხვდეს,  
    ვისმე ვახსოვდე,  
მოვიდეს ერთხელ,  
    ჩაფიქრებული,  
ღ ჩემსა ძვლებსა,  
    მიწად ქცეულსა,  
დანანებითა,

დაესაუბროს.  
დაესაუბროს  
ტკბილისა ენით,  
ძვლებსა ღამაწსულს,  
მოცულის სვედით.  
ამცნოს, ახაროს,  
იგი იმედი,  
რა იმედითაც,  
ქუცუნად ვცხოვრებდი.  
მაშინ იქნება,  
რომ იგონოს სულმა,  
რომელს თან წაჰყვას,  
ამ სოფლის ტრფობა,  
ღ იმ გრძნობაზე,  
გადაივიწყოს,  
ესე სოფელი,  
დაუდგრომელი!....

ივ. კერესელიძე

1874 წელსა  
ნოემბრის 27,  
ქ. ტფილისს.



კენინა ბარბაკე ჯორჯაძის „სამზარეულო წიგნი  
ბამოცემული 1874 წელსა და დაამჯდომილი უფ. ხელაძის  
სტამბაში.

კენინა ბარბაკე ჯორჯაძისაგან შედგენილი სამ-  
ზარეულო წიგნი, ჩუქნი ქართველებისათვის სასარგებ-  
ლო წიგნია, უფრო ამისათვის რომ ჯერ ამ გვარი  
ქართულს ენაზედ არა გამოხუღარა; მაგრამ ორიოდ  
სიტყვის თქმა კი დაგვჭირდება ამ ფრიად სასარგებლო  
წიგნზედ. კენინა ჯორჯაძისა, აქამდისინ ჰოეცობდა,  
ახლა კი არ ვიცით, ჰოეხია იმას შემოსწერომია, თუ  
თუთან ის დროებითი ჰოეცა ჰოეხიასა? ჩუქნი ასე ვუფიქ-  
რობთ, რა დასარულა გალექსებაბულების გალო-  
ბისა, ვარდებისა, ია ჭ სანბახებისა, მისისა ჭ მთვან-  
რისა, თითქმის ნიხაბებისა ჭ ბარისა, ახლა საფანე-  
ლი რა შემოჭკლებია, მიუყვია კელი ბოზბაშისა ჭ  
ტოლმა ქუფთებისათვის სელი; ისეთის მადიანის კალ-  
მით აღუწერია, თუთეული საჭმელი, რომ მადა და-  
კარგულს კაცს, ქინისაგან გამწარებულს ჰირსა

ისეთ იმტახედ მოიუფანს, რომ თუ მხათ მოხარბული  
საჭმელი იმ საათში არა შესვდარა, მოუსვამს ხელს  
ღ ს ლერთიანათ თუთან იმ დაბეჭდილს წიგნს შეჭუ-  
ლანავს!... ეს უველა კარგი, მაგრამ ეს როგორ მოსუ-  
ლია ბარბარე ჯორჯადისას, რომ მახოსისათვის, ღო-  
ლოს შეჭამადისათვის, ღ ამ კვარ წრტიანრტისათვის,  
ევროპიული საჭმელები დაურქმევა, — მართლა, ან-  
ბობენ, ნახალეონი ტუეობაში მახოსის შეჭამადს  
მოუკლავსო; არა რომელი ევროპიული მიირთმევს  
ევროპაში ამ უოვლად სანატრელს ქართველებისათვის  
საჭმელებს!. ახლა ვიცით, ეს სიტუეები ჯორჯადისას  
გულში ისარივით მოხვდება ღ იტუვის, მუ როდის  
დავარქვი მახოსს ღ ღოლოს შეჭამადს ევროპიულიო?  
სწორეთ დაგირქმევა! თქუტნ არა სწერთ **153**  
გვერდზე ბულიონი რუსული საჭმელიაო? არა, უილეი  
სადაური რუსულია? რაკი სამხარეულოს წიგნს არდ-  
კენდი და ჰოეხიას საუკუნოდ შემოსწეერი, ამას იქმო-  
დით მაინც, უველა ტომის საჭმელებს თქუტნს წიგნში  
საკუთარს ბინას მისცემდით. ლულა ქაბაბი, რომელია?  
დავიჯერო ერთხელაცარი არ გაგვიღია ტფილისის  
აბანოებისაკენ, სადაცა თითქმის ამის მეტი არა კეთ-  
დება რა, უიხალბაშებისათვის! — ში, ბორში, კრეპი ღ

სსწები, სულ ერთად არეული რუსულია? აფსუს სინკალო, დიდოელების საუვარელო, რომ შენც არავინ სსოვნებისარ ღ ბარბარე ჯორჯაძის წეალობით სამსარეულოს წიგნიდგან გამოორიცხუოსარ, მაშინ როდესაც რომ სირნიკსედ მრავალჯერ მეტად იქება მიურთმევისარ ამ ჩინებულის წიგნის შემადგენელს. ნეტავი ამ სანატრელს დროს, როდესაც რომ ცრუგაეგროპიულები ჩუწნი ქალები, ღ იქნება თუთან ზმ წიგნის ავტორიც; შემოდგომით თავიანთ ბანებზედ ახმობდნენ ატმას, ზანტას, მაქალას ჩირებს, ახლა ვიღა ახლობს თუ არ ისევე საწეალი სოფლის დედაკაცები; მაშინ რაღასათვის მოცდენილა ღ ეს მვირყასი რეცეფუთი შეუდგენია: მოიღე მისხალი ვაშლი »ზანტის მოსსენება უთაკილნია» გაფცქენით ღ დათაღეთ, დააწეუთ სონჩახედ, მზეზედ დადგით, რომ განმესმართლა? აფერუმ ბიჭო, ეს კარგი ნუკბარნი რამ არის იმისათვის, ვინც ყილეის მიირთმევს! ეველა ეველა ღ მრთელი თავისი სელოვნება, მრთელი თავისი სწავლა ღ გამოცდილება უმაროილზედ მიუქცევა, მრთელი ეპისტოლე შეუდგენია, ეტეობა ავტორს უმაროილი ჭეარებია ღ უსმარია. რას არ იპოვნის მკითხველი ამ ქალებისათვის განსალამახებელს მასში; კალას, ტუიას, თხის ქონსა, მარან-

ღუღას საზონს, ნუშსა, კვერცხს, ჟირვანე შაქარს, ასე  
გასინჯეთ ერთ თაბახ ქაღალდს, ამ ჰირობით კი რომ  
ზედ ერთ-ერთი კნ. ბარბარე ჯორჯაძის ლექსი უნდა  
იყოს, ვარდებზედ, რომ უფრო უმარილს კეთილ სუ-  
რნელება მიეცეს, დამაზიწედი, უმარილის მოხარშვის  
დროს, უთუოდ უნდა ხმარობდეთ რკინის კოვზსა; სა-  
დაც გინდა იმოუნეთ, ეს იმისი საქმე არ არის, თუ  
რკინის კოვზი არ იხმარეთ, უმარილი ვერ მოიხარ-  
შება ზღვრებით ცარიელი. ერთი სიტყვით დავილუ-  
შებით!... ვაი ჩქარო ვეელიერის ნუგბაჲო ქადანა-  
ზუქო, არც თქვენ უხსენებინართ, თქვენს მაგიერ  
ჩვენ თავზედ მოუსვევია ვაშლის, მსხლის, კომპის  
კამპოტები, რომლის სხენება იქნება თითონაც გაუგო-  
ნია ზ თავის დღეში თავის მამაპაპურს ბუნარში არ  
აღმოჩენილა!—ან რასა ვმასხარაობთ ამდენს, თვითან  
იმ საჭმელების შესაუებაშიაც რამდენი სიცრუე არის,  
ვინ იტყვის ზ მოსთვლის, ან ვისა სცალიან, ვეელა  
ამწიგნის ავტორსავით მოცლილი სიმ არა ვინ არის,  
—ახლა სადილობის დროც არის ზ სტოლზედ მიმე-  
ლის ერთი კარგი ჯამი, კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა-  
გან დარეგებულის სახით გაკეთებული წითელი ბული-  
ონი, თავისის ჰეროქებით ზ ლობიოს კირკაჟი, ფუ

დამავიწედა, ლობიო ვახსენე ზე მშვენეის ბულიონ  
სუნი დაუკარგე,—ბიშტეისი თავისის წითელის სოუ-  
ზით!.... რა მოგახსენო.

სუმრობა იქით იუოს ზე, ამ წიგნის გამოცემაში  
უფრო უნდა ვმადლობდეთ უფ. ექვთიმე სელაძეს, რომ  
მელმაცა ექსი თუ შვიდი თვე არის ზე თითქმის ათამ-  
დინ ქართული წიგნები გამოუცია. ჯერ არც ერთს  
ტიპოგრაფიას ეს კეთილი განზრახვა არა ჰქონია, რომ  
გამომავლებინოს ქართული წიგნები, სელაძეს კი ეს  
ჩინებული ზე ქვეყნის სასარგებლო განზრახვა აქვს.

ჭაიდა-გეთის სოფელი.

# ნეკროლოგი

---

**6** დეკემბერს დილის ექვს საათზედ გადაიცვალა დიდის ხნის ავით მოფობის შემდეგ, ყოველქართველთაგან ზატყვემული იოსებ ქრისტოფორის მამაცოვი. საქართველომ დაკარგა ერთი იმ ქართველთაგანი, რომელსაცა გულთ ბ სულთ უფარდა საქართველო ბ როგორც ნამდვილი ქართველი ყოველთვის გულითა სურდა საქართველოს წარმატება. ნეტარსენებული ქართულს სტატეებსაცა სწერდა შესახებ სოფლის მეურნეობისა ბ რამდენჯერ დაგვიბეჭდია, როგორც ცისკრებში, ისე გუთნის დედის გაზეთში. განსვენებული კეთილი კაცი იყო ბ კეთილი სახელიც დაუტყვა თავის საუარველ ქართველებში, რომელნიცა, ვინც კი შეესწრნენ დასაფლავების დღეს, უგლანი ერთობ სწუხდნენ ამისთანა ჰირის დაკარგვასა ბ ერთბაშად ითხოვდნენ ზენაარსისაგან საუკუნოდ მისსა განსვენებასა.

---



1874 წელსა

»ცისკრის« დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში ადგილობრივ გაუკუხავნელათ თუ გაკუხავ-  
ნით—8 მანეთი.

რედქცია იმყოფება ხანის ქუჩაში, ბებუთოვის სას-  
ლებში, ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ  
მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედქცია, მაშინვე  
აწნობოს ამ ადრესით:

»ცისკრას რედქტორს ივ. კერესელიძეს, ტფილისში.

---

Дозволено цензурою Тифлисъ, 24 Декабря 1874 г.